



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 42

ქ. გარდაბანი

30/03/2022

42-06-4-202203301915



**ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გარდაბანში, თამარ მეფის ქ. №52-ში
მცხოვრები ტარიელ ონიანისთვის დახმარების გაწევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილების, 24-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 23 მარტის N18-182208223 შუამდგომლობის თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან გამოიყოს 7773.75 (შვიდი ათას შვიდას სამოცდაცამეტი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი, გარდაბანში, თამარ მეფის ქ. №52-ში მცხოვრები ტარიელი ონიანისთვის (პ/ნ _____ (დიაგნოზი: _____

მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა გასცეს საგარანტიო წერილი და უზრუნველყოს განკარგულების პირველ მუხლში მითითებული თანხის გადარიცხვა მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ქალაქ თბილისში, უზანგი ჩხეიძის №17/დ. უზნაძის №58-ში მდებარე, ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის ანგარიშზე. ს/კ: 402154342

ა/ა: _____

ბანკი: სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი: TBCBGE22

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

